საქართველოს მთავრობის

დადგენილება №140

2023 წლის 6 აპრილი

ქ. თბილისი

„ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის №99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის №99 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/02/2020, 270000000.10.003.021808) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ინსპექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტებზე შესვლისა და შემოწმების (ინსპექტირების) წესისა და პირობების“ მე-19 მუხლის:

1. პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ინსპექტირების პროცესში ინსპექტირების განმახორციელებელ პირ(ებ)ს უფლება აქვს/აქვთ, განახორციელოს/განახორციელონ ობიექტის საწარმოო და ტექნოლოგიური პროცესების, მისი საქმიანობის, ობიექტზე მყოფი დასაქმებულების, ასევე გამოვლენილ დარღვევათა ამსახველი ფოტომასალის/ვიდეომასალის გადაღება სრულად, რის შესახებაც ობიექტზე შესვლისთანავე აცნობებს/აცნობებენ ობიექტის უფლებამოსილ პირს. ფოტომასალა/ვიდეომასალა ინახება ჩანაწერის გაკეთებიდან არაუმეტეს 6 თვის ვადით (გარდა იმ შემთხვევისა, თუ გასაჩივრდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და მასში გამოვლენილი დარღვევები ასახულია ფოტომასალაში/ვიდეომასალაში, რომელიც უნდა წაიშალოს/განადგურდეს სამართალდარღვევის ოქმის განხილვის დასრულებისა და კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ).“.

2. პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. ინსპექტირების პროცესის ამსახველი ფოტოჩანაწერის/ ვიდეოჩანაწერის შენახვისა და განადგურების პროცედურები დგინდება შრომის ინსპექციის სამსახურის ხელმძღვანელის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**